ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1991469

ნომერი: AR1322745

თარიღი : 29.06.2015

გაცემის თარიღი : 06.07.2015

გაცნობის თარიღი : 07.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქალაქი თბილისი,სოფელი დიღომი, (ნაკვეთი 19/313) , ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი დავით აღმაშენებელის ქუჩა N2ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ედილაშვილი პ/ნ 01705049417
- თბილისი ს. დიღომი დ.აღმაშენებლის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1322745 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებელის ქუჩა N2ა (საკ. კოდი №01.72.14.019.370) მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის ნებართვის გაცემას და ეჭვქვეშ აყენებთ მშენებლობის პროცესის შეთანხმებულ არქიტექტურულ

პროექტთან შესაბამისობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის #1985133 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, (ნაკვეთი 19/313) ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი დავით აღმაშენებელის ქუჩა N2ა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.019.370) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1322745; განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ 2012-2015 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ 2015 წლის 30 ივნისის (№1322745 ბრძანება) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.